პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 4 დეკემბერი, 1942 წ. № 287 (6603). ფასი 15 კაპ.

ელექტროენერგიის დაკარგვა სახალხო დოვლათის გაფლანგვაა

სტალინგრადისა და ცენტრალურ ფრონტებზე წითელი არმიის შეტევაში სახელოვანი საბჭოთა მეომრის გვერდით უხილავად მონაწილეობს ყუმბარების მომხარატებელი ხარატი, ტანკის საჯავშნო ფოლადის მდნობელი მეფოლადე, მრისხანე ზარბაზნების ამწყობი ზეინკალი. საბრძოლო ტექნიკა, რომელიც მებრძოლის მკერდს იცავს მტრის

...

სკის ოლქმა 1942 წლის პირველი ნახევარწლის განმავლობაში 2-3-ჯერ გაადიდა საჭურვლისა და სამხედრო მასალის გამოშვება. ელექტროენერგიის მოთხოვნილება დღითი-დღე კი არა, ყოველ საათს იზრდება. ნამდვილ პატრიოტებს ეს შეგნებული აქვთ და ისე უფრთხილდებიან ელექტროენერგიას, როგორც კარგი მებრძოლი თავის იარაღს. უკანასკნელი კვირეების განმავლობაში ბევრ ადგილას სამეურნეო ხელმძღვანელებმა და ინჟინრებმა, პარტიულმა მუშაკებმა და ოსტატებმა, მუშებმა და მუშა ქალებმა ბოლშევიკურად მოჰკიდეს ხელი ელექტროენერგიის დაზოგვას. და მათ უკვე შესამჩნევ წარმატებებსაც მიაღწიეს.

აი ჩვენი დღევანდელი დღისათვის დამახასიათებელი ცნობები, რომლებიც მიღებულია საბჭოთა კავშირის სამი ქალაქიდან.

ქალაქი ნ. კომინტერნის სახელობის ქარხნის კოლექტივმა თითოეული ტანკის წარმოებაზე 7-ჯერ იმაზე ნაკლები ელექტროენერგიის ხარჯვა დაიწყო, რასაც წლის დასაწყისში ხარჯავდა.

ქალაქი სვერდლოვსკი. პერვოურალსკის ახალმილის ქარხნის კოლექტივმა მიმდინარე წელს ორ მილიონ კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგია დაზოგა და ურალის ყველა საწარმო გამოიწვია შეჯიბრებაში ენერგიისა და სათბობის ხარჯვის შემცირებისათვის.

ქალაქი ბაქო. „სტალინნეფტის" ტრესტის გადამტუმბავი სადგურის კოლექტივმა მნიშვნელოვნად შეამცირა ელექტროენერგიის ხარჯვა და

უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში ორნახევარ მილიონამდე კილოვატსაათი დაზოგა.

დიდი მნიშვნელობა აქვს ვიცოდეთ არა მარტო შენახული ენერგიის რაოდენობა, არამედ ის გზებიც, თუ როგორ იქნა ეს მიღწეული. ეს გზები არავისათვის არ არის დახშული. პერვოურალსკის ქარხანაში ყოველი

...

სად ნაქებ საავიაციო ქარხანასაც კი არ აპატიებს თუნდაც ოდნავ უყაირათობას, მოდუნებულობას, რაც ელექტროენერგიის დაკარგვას იწვევს.

დღეს მუშის პატრიოტიზმი მარტო დამუშავებული დეტალების რაოდენობით კი არ განიზომება, არამედ დაზოგილი ლითონის, შენახული ელექტროენერგიის, დაზოგილი სათბობის რაოდენობითაც. დღეს ყოველი სამრეწველო საწარმოს მუშაობის ხარისხი იმით განიზომება, თუ რამდენად რაციონალურად იყენებენ იქ მატერიალურ ფასეულობას. დღეს თითოეული პარტიული ორგანიზაციის მუშაობის დონე იმით განიზომება, თუ რა გააკეთა მან ელექტროენერგიის გამომუშავების გასადიდებლად, ახალ ენერგეტიკულ სიმძლავრეთა ამუშავების დასაჩქარებლად, ელექტროენერგიის ხარჯვის შესამცირებლად თავის ქალაქში, თავის ქარხანაში.

ქარხნების კორპუსთა კედლებზე ჩვენში პლაკატებია გაკრული და ზედ აწერია: „რა გააკეთე შენ დღეს ფრონტისათვის?". იქვე შეიძლებოდა გაგვეკრა პლაკატები შემდეგი კითხვით: „რა გააკეთე შენ დღეს ელექტროენერგიის ხარჯვის შესამცირებლად?".

ახლა უკვე ყოველ საბჭოთა ადამიანს შეგნებული აქვს, რომ იარაღისა და სამხედრო მასალის წარმოების გადიდება ფრონტისადმი უშუალოდ დახმარებაა. საჭიროა, რომ ყველა საბჭოთა ადამიანმა შეიგნოს: ელექტროენერგიის მომჭირნეობა ჩვენი ფრონტისადმი ასეთივე პირდაპირი დახმარებაა.

„პრავდის" მოწინავე, 3/XII.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

წითელი არმიის უფროსთა შემადგენლობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის მიენიჭოს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი"

1. კაპიტან ალექსანდრე ალექსის-ძე კუზნეცოვს,
2. უფროს სერჟანტ პოლიკარპე ლაზარის-ძე პერეპელიცას,
3. უფროს ლეიტენანტ დიმიტრი დიმიტრის-ძე შოლოხოვს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

3 დეკემბრის დილის ცნობა

2 დეკემბრის ღამის განმავლობაში სტალინგრადის რაიონში და ცენტრალურ ფრონტზე ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ წინანდელი მიმართულებებით.

* * *

ქალაქ სტალინგრადის ჩრდილოეთ ნაწილში ჩვენმა მზვერავმა რაზმმა ღამით გამოხდომა მოაწყო და გარეკა გერმანელები რამდენიმე ძელმიწური საცეცხლე წერტიდან. საქარხნო რაიონში საბჭოთა არტილერისტებმა მოსპეს მტრის 2 ქვემეხი, 5 სატყვიამფრქვევო წერტი და 8 ავტომანქანა სამხედრო მასალიანად.

* * *

...

მანქანა, 11.000 ყუმბარა და 60 ათასი ვაზნა. რჟევის დასავლეთით ჩვენმა ტანკისტებმა 2 დღის განმავლობაში 800 ჰიტლერელი მოსპეს. წამოღებულია მტრის 5 ქვემეხი, 3 ნაღმსატყორცნი, 3 რადიოსადგური და 2 საწყობი სამხედრო მასალიანად.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა ორი დღის განმავლობაში გაჟლიტეს მტრის 600 ჯარისკაცი და ოფიცერი. საბჭოთა არტილერიის ცეცხლით დანგრეულია მტრის 9 ძელმიწური საცეცხლე წერტი და 5 ბლინდაჟი, მოსპობილია 2 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი და 11 დაზგის ტყვიამფრქვევი.

...

ბილია 600-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დაზიანებული და დამწვარია მოწინააღმდეგის 6 ტანკი. ხელთ ვიგდეთ ღავლა: 16 ქვემეხი, 9 ტყვიამფრქვევი, 5 ავტო-

...

გერმანელთა შტაბის შენობას. შერბურგის ახლოს ლიანდაგიდან გადააგდეს ოკუპანტების სამხედრო მატარებელი. მარცხის შედეგად მოკლულია მრავალი გერმანელი ჯარისკაცი.

3 დეკემბრის საღამოს ცნობა

3 დეკემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ქალ. სტალინგრადის რაიონში და ცენტრალურ ფრონტზე, სძლევდნენ რა მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას, განაგრძობდნენ შეტევას წინანდელი მიმართულებებით.

2 დეკემბრის განმავლობაში ჩვენმა მფრინავებმა სტალინგრადის რაიონში მოსპეს გერმანელთა 50-მდე თვითმფრინავი, მათ შორის 40 სამმოტორიანი სატრანსპორტო თვითმფრინავი.

* * *

2 დეკემბერს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს გერმანელთა 10 ტანკი, 50-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და სხვადასხვა ტვირთიანად, ჩააქრეს 6 საარტილერიო ბატარიის ცეცხლი, გაჰფან-

...

ნ ნაწილის მებრძოლებმა დღის განმავლობაში 600-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტეს. ამ ბრძოლაში უფროსმა სერჟანტმა დუშკინმა ქვემეხის პირდაპირი დაშენით გერმანელთა 4 ტანკი დააზიანა.

რჟევის დასავლეთით ჩვენი ნაწილები მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას სძლევდნენ და წინ მიიწევდნენ. ნ ნაწილმა გერმანელთა ძლიერი გამაგრებული ზოლი გაარღვია, რკინიგზის შტოზე გავიდა და ხელთ იგდო სადგური. ჩვენმა მეორე ნაწილმა მთელი რიგი დასახლებული პუნქტები გაათავისუფლა გერმანელ დამპყრობთაგან, ამასთან მოსპო მტრის 6 ტანკი, 150 ავტომანქანა და 1.000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

...

სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ნაწილები ცალკეულ უბნებზე შეტევას განაგრძობდნენ. მოსპობილია მტრის 1.200-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, 13 ტანკი და ჯავშნიანი მანქანა, 90 ავტომანქანა, 8 ნაღმსატყორცნი, 23 ტყვიამფრქვევი, დანგრეულია 28 ძელმიწური საცეცხლე წერტი და 52 ბლინდაჟი. სხვა უბნებზე ჩვენი ნაწილები იწევდნენ დაზვერვას ძალებით და ულეტდნენ მტრის პატარ-პატარა ჯგუფებს.

* * *

ცენტრალურ ფრონტზე ჩვენი ჯარები შეტევითი ოპერაციებს განაგრძობდნენ. ველიკიე ლუკის აღმოსავლეთით საბჭოთა ნაწილებმა არა ერთი კონტრიერიში მოიგერიეს და მოწინააღმდეგის დასაყრდენ პუნქტებს სპობდნენ.

...

გაცვეთილი მეზარდსაგები და მუცლსაფრები, თითო ოცეულზე მოგვცეს ხუთი წყვილი ერზაც-თექის ჩექმები—ხის ლანჩიანი ჩალის ბოტები ან გუდრონდასხმულ ლანჩიანი ჩალის ქალამნები. ეს ეგრეთწოდებული თექის ჩექმები სრულიად არ ათბობს ფეხს და მოძრაობას აფერხებს. საგუშაგოზე გასვლისას ჯარისკაცი საბანს იხამს და საფრთხობელასავით დგას. ახლა ჯარისკაცები ამბობენ: „ჩვენ ერთხელ კიდევ მოგვატყუეს. ყოველივე მტკიცება იმისა, რომ გერმანიის არმია კარგად არის მომზადებული ზამთრისათვის, მხოლოდ-დამხოლოდ ტყუილი სიცრუეა. ჩვენ მოგვატყუეს და განწირულნი ვართ სასიკვდილოდ. ვინც ბრძოლაში გადაურჩება სიკვდილს, ის აუცილებლად დაიღუპება სიცივისაგან, გაიყინება რუსეთის ნამქერებში".

სსრ კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის აპარატის მუშაკთა დაჯილდოება სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით

თავდაცვითი და სახალხო-სამეურნეო ტვირთის გადაზიდვის ორგანიზაციის დარგში მთავრობისა და სამხედრო სარდლობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სსრ

...

ლენინის ორდენით:

1. არუთინოვი ბაგრატ ნიკოლოზის-ძე—გზათა სახალხო კომისრის პირველი მოადგილე.
2. მილშტეინი სიმონ რაფიელის-ძე—სახელმწიფო უშიშროების კომისარი.
3. შავლოკაძე ვლადიმერ ლუკას-ძე—საორთქლმავლო მეურნეობის ცენტრალური სამმართველოს სამსახურის უფროსი.

შრომის წითელი დროშის ორდენით:

1. ზავრიევი კირიაკ სამსონის-ძე—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, ვ. ი. ლენინის სა-

ხელობის, თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის პროფესორი.

2. მაისურაძე ვასილ ალექსანდრეს-ძე —

...

წითელი ვარსკვლავის ორდენით:

1. შავგულიძე ევგენი ანანიას-ძე—გამომგონებელი, რკინიგზის ტრანსპორტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკი.

„საპატიო ნიშნის" ორდენით:

1. ზელიონი ალექსანდრე ისიდორეს-ძე—მექანიზებული აღრიცხვის ამიერ-კავკასიის ფაბრიკის უფროსი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის"

1 სახელმწიფო უშიშროების ლეიტენანტი ქარუმიძე ბორის ვახტანგის-ძე.

ესტონური ხელოვნების საღამოები

ამ დღეებში მოსკოვში შესდგება ესტონეთის მხატვრული ანსამბლების გამოსვლები. ანსამბლებში შედიან ესტონეთის საუკეთესო არტისტული ძალები. ანსამბლების პროგრამაშია ესტონელ კომპოზიტორთა და პოეტთა ნაწარმოებნი, მიძღვნილნი დიდი სამამულო ომისადმი. ესტონეთის ანსამბლებმა უკვე მოაწყეს 250-ზე გამოსვლა წითელი არმიის ნაწილებში, ჰოსპიტლებსა და მუშათა კლუბებში. (საკდესი).

კავკავის (ქალაქი ორჯონიკიძე) რაიონში. ნაღმმტყორცნელები წითელარმიელ მ. ზვიადაძის მეთაურობით უშენენ ჰიტლერელთა დაჯგუფებას.

ფოტო ვ. ივანოვისა (საკდესი).

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით

ჩვენი ნაწილები განაგრძობენ მტრის შევიწროებას

დონის აღმოსავლეთ ნაპირზე მტრის თავდაცვის სიღრმეში მოქმედი ჩვენი ჯარები შეუჩერებლივ ავიწროებენ მტერს. გერმანელები განწირულად ცდილობენ ფეხი მოიკიდონ, რათა წესრიგზე მოიყვანონ შებერტყილი თავიანთი ნაწილები, მოახდინონ გადაჯგუფება, მიიღონ თუნდაც საჰაერო გზით სამხედრო მასალები და სურსათი. მტერი ცდილობს გაამაგროს ველის თითოეული ბორცვი. მაგრამ ჩვენი ჯარები გარს ერტყმიან მტრის ნაწილებს ფლანგებიდან, სოლივით იჭრებიან მათ შუა, სატანკო დესანტებით ზურგში უვლიან მტერს და განაგრძობენ წინსვლას.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო იუწყება

...

ვის სავსებით [illegible] დიდი კვანძი. ჰიტლერელებმა დიდი ზარალი განიცადეს.

მტერი ცდილობს დაეყრდნოს დასახლებული პუნქტების დაცვას. ვოლგისპირა შიშველ ველში გასვლა სიკვდილი იქნებოდა ჰიტლერელებისათვის. დილაადრიან ერთ-ერთმა ჩვენმა ნაწილმა, რომელიც დასავლეთიდან უტევდა, ველის ბორცვებზე უკუაგდო საბრძოლო დაცვა დასახლებულ პუნქტთან და შიგ შეიჭრა მტრის კვალდაკვალ. ღორტყმა ორი მხრიდან მოხდა. ბრძოლა სწარმოებდა თითოეული სახლისათვის, თითოეული შენობისათვის. ჰიტლერელებმა 300-ზე მეტი კაცი დაჰკარგეს მო-

...

აღმოჩნდა და სვლა აღარ შეეძლო. მაშინ ამ მანქანის მეთაურმა ზემდეგმა ლობანოვმა დასტოვა დაზიანებული ტანკი, გადაჯდა ვარგის მანქანაში და ბრძოლა გაუმართა მტერს. მან ცეცხლითა და მუხლუხებით გზა გაუკაფა ქვეითს ჯარს, ამასთან მოსპო რამდენიმე ათეული ფაშისტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ქვეითები შეიჭრნენ მტრის განლაგებაში და გააფთრებული ხელჩართული შეტაკების შემდეგ დაიკავეს გერმანელთა სანგრების კიდევ ერთი ხაზი.

გერმანელებმა ჩვენი მებრძოლების წინააღმდეგ კონტრიერიშზე გამოუშვეს ტანკების ჯგუფი, რომლებსაც მოჰყვებოდნენ ფაშისტ მეავტომატეთა რიგები. არტილერისტები მტრის მანქანების მწკრივს თავიანთი ქვემეხების ცეცხლით შეხვდნენ. ქვემეხთა გუნდებმა, რომელთაც ხელმძღვანელობდა მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში, უფროსი ლეიტენანტი მარტინენკო, პირდაპირი დაშენით დააზიანეს მტრის ტანკი, ამასთან 20-მდე ჰიტლერელი გაჟლიტეს.

...

მთი გერმანელთა ტყვიამფრქვევები, რომელნიც ფლანგებიდან აწარმოებდნენ ხროლას და ხელს უშლიდნენ ჩვენი ქვეითი ასეულის წინსვლას. არტილერისტებმა ხელით გამოაგორეს ქვემეხები გაშლილ პოზიციებზე და მიზრვნით დაუწყეს სროლა მტრის სატყვიამფრქვევო ბუდეებს. მოწინააღმდეგემ შეანელა ცეცხლი. საბჭოთა ქვეითებმა იერიში მიიტანეს გერმანელთა დასაყრდენ პუნქტზე. ლეიტენანტ პელევინის ოცეული, რომელმაც საარტილერიო საფარი გადალახა, პირველი შეიჭრა გერმანელთა განლაგებაში და თავს მოახვია მათ ხელჩართული ბრძოლა. წითელარმიელებმა გრანატებითა და ხიშტებით გარეკეს გერმანელები ტრანშეებიდან და გამაგრდნენ იქ. ოცეულის კვალდაკვალ გერმანელთა თავდაცვაში სოლივით შეიჭრა მეზობელი ქვეგანაყოფი. გააფთრებულ შეტაკებებში საბჭოთა მებრძოლებმა უკუაგდეს ჰიტლერელები და დაიკავეს მათი ზღუდე.

ე. კაპლანსკი

სტალინგრადის რაიონში

მოქმედი არმია, 3 დეკემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ქალაქის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები დაკავებულ ზღუდეებზე მაგრდებოდნენ და მთელ რიგ უბნებზე წინ მიიწევდნენ. მტერი შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევს. ჩვენი არტილერია გერმანელთა სიმაგრეებს ურტყამს და გზას უკაფავს ქვეითს ჯარს.

აქტიურად მოქმედებდა მოიერიშე ავიაცია. დილით მოიერიშეთა დიდმა ჯგუფებმა ავიაგამანადგურებელთა საფარქვეშ სხვადასხვა მიმართულებებიდან მიიტანეს იერიში მტრის პოზიციებზე, დასაყრდენ პუნქტებსა და ზურგზე. მტერს დიდი ზარალი მოსდის. წინ წაწევისას საბჭოთა მებრძოლნი ღელეებსა და ხევებში გერმანელ ჯარისკაცთა მრავალ გვამს პოულობენ.

ამჟამად სტალინგრადში ბრძოლა ცალკეული დასაყრდენი პუნქტების ირგვლივ ჩაღდება. ჰიტლერელები აგებენ ბლინდაჟებს, ძელმიწურ საცეცხლე წერტებს, სანგარსავლებს. მოწინააღმდეგე ზოგჯერ კონტრიერიშებზე გადმოდის, მაგრამ ყველა ეს კონტრიერიში იფუშება. გერმანელებს დიდი ზარალი მოსდით და თავდაპირველ პოზიციებზე უკუიქცევიან.

ჩვენი ქვეგანაყოფები დღითიდღე ანგრევენ გერმანელთა სიმაგრეებს მათ მიერ დაკავებულ უბნებში. აქ მთავარი როლი არტილერისტებსა და ნაღმმტყორცნელებს ეკუთვნით. ქვემეხთა გუნდებმა, რომლებსაც ამხ. დავიდენკო და ლარიონოვი მეთაურობენ, ერთი დღის განმავლობაში მოსპეს მტრის 11 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი გარნიზონებიანად და საჭურვლიანად.

აღსანიშნავია ქვეითი ჯარისა და არტილერიის წარმატებითი თანამოქმედება. უმცროსი ლეიტენანტი საშინი და უმცროსი სერჟანტი ჰასანოვი ფაშისტთა ზურგში შეიჭრნენ და მოწინააღმდეგის 9 საცეცხლე წერტი ჩაინიშნეს. არტილერისტებმა, რომელთაც ცნობები მიიღეს ქვეითებისაგან, ცეცხლით თავდასხმა მოაწყეს აღმოჩენილ მიზნებზე. ზარბაზნები ზუსტად ურტყამდნენ მიზანს. ცხრავე საცეცხლე წერტი მოსპობილ იქნა.

მარჯვედ მოქმედებენ ჩვენი ქვეითი ჯარის მცირე ქვეგანაყოფებიც. ისინი გერმანელთა ზურგში იჭრებიან და გრანატებით ანგრევენ მოწინააღმდეგის სიმაგრეებს. სტალინგრადის დამცველები ნაბიჯ-ნაბიჯ ერეკებიან ცეცხლითა და რკინით ჰიტლერელებს სახლებიდან, სარდაფებიდან, ძელმიწური საცეცხლე წერტებიდან და ბლინდაჟებიდან.

ნ. მარკოვსკი

რჟევის დასავლეთით

ცენტრალური ფრონტი, 3 დეკემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ბრძოლები რჟევის დასავლეთით დღითიდღე უფრო და უფრო გააფთრებულ ხასიათს იღებს. გერმანელთა სარდლობა ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რათა შეაჩეროს ჩვენი ჯარების წინსვლა. ამ მიზნით მას ზურგიდან მოჰყავს ტანკები და ახალი ქვეითი ნაწილები, რომლებიც კონტრიერიშზე გადმოჰყავს საბჭოთა ქვეგანაყოფების წინააღმდეგ. ფაშისტებს დიდი ზარალი მოსდით. ამას ადასტურებენ ტყვედ

...

როცა მტრის ქვეითი ჯარი ტანკების დახმარებით კონტრიერიშზე გადმოვიდა, წითელარმიელი ვასილიევი ტანკსაწინააღმდეგო გრანატებით ხელში ეკვეთა გერმანელთა მოწინავე მანქანას. მალე ტანკი გაჩერდა. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ გამოემართა წინ ვასილიევისაკენ. მებრძოლი სანგარში ჩაწვა, და ტანკმა მას ისე გადაუარა, რომ ზიანი ვერ მიაყენა. ამ დროს ჯავშანმტვრეველმა გლებოვმა ტანკსაწინააღმდეგო თოფით ესროლა და ცეცხლი წაუკიდა ფა-

...

მტს-ების აღდგენა განთავისუფლებულ რაიონებში

...

უკანასკნელი ცნობები

ფაშისტური იტალიის მეთაური პანიკას შეუპყრია

მუსოლინი წუწუნებს

სტამბოლი, 3 დეკემბერი (საკდესი). გუშინ მუსოლინიმ სიტყვა წარმოსთქვა ეგრეთწოდებული ფაშისტური კორპორატიული პალატის „საკანონმდებლო კომისიების" სხდომის წინაშე. მისი გამოსვლა მოწმობს დიდ შეშფოთებას, რომელსაც იტალიის ფაშისტი მმართველები განიცდიან გერმანია-იტალიის კოალიციის წინააღმდეგ ბრძოლის ყველა ფრონტზე მოკავშირეთა მიერ მიღწეულ წარმატებებთან დაკავშირებით.

მუსოლინიმ ცინიკურად აღიარა, რომ გერმანია და იტალია მხოლოდ იმიტომ დაესხნენ თავს სსრ კავშირს, რომ მათ უნდოდათ თავიდან აეცილებინათ სსრ კავშირის ძლიერების შემდგომი ზრდა და ხელში ჩაეგდოთ რუსეთის სურსათისა და ნედლეულის სიმდიდრე. ამავე დროს მუსოლინიმ განაცხადა, რომ მისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა „რუსეთის

...

მუსოლინიმ გააფრთხილა იტალიელები, რომ მათ „მძიმე განსაცდელის" ატანა მოუხდებათ უახლოეს მომავალში. ჩერჩილის სიტყვა,—სთქვა მუსოლინიმ,—„სერიოზულად უნდა მივიღოთ". საჭირო იქნება მოეწყოს ქალაქების სრული ევაკუაცია. „ნუ დაუცდით უკანასკნელ საათს, დაიწყეთ სოფლად გადასახლება. საჭიროა ქალაქების ევაკუაცია. საჭიროა საბოლოო ან თითქმის საბოლოო ევაკუაციის მოწყობა, ვისაც კი შეუძლია საქალაქო და სამრეწველო ცენტრების მოშორებით ცხოვრება, ყველა ვალდებულია გავიდეს. საჭიროა მოეწყოს ქალაქებიდან გასვლა საღამოობით, რათა ღამ-ღამობით იქ მარტო ჯარისკაცები რჩებოდნენ".

ფაშისტთა გაკოტრებული მეთაურის სიტყვა გამსჭვალული იყო შიშით თავისი საკუ-

...

სამამულო ომის ფრონტებზე

კავკასიის დამცველნი

ქართველი სოფელ მუხურჩიდან

ბაგრატ მაისაია სამშობლო სოფელ მუხურჩაში კოლმეურნეობის ფერმას განაგებდა. ეს არის მაღალი, ბრგე კაცი ცოცხალი, მახვილი თვალებით. მის ხელში შაშხანა პატარად მოსჩანს. იგი ქამრამდე ძლივს სწვდება. ბრძოლა რომ გაჭიანურდა, კაპიტანმა პოპკოვმა უბრალოდ უთხრა: „ამხანაგო მაისაია, მებრძოლებს არაფერი უჭამიათ". და ბაგრატმა, რომელიც მანამდე მოწინავე ხაზზე არ ყოფილიყო და თოფის წამლის სუნი არ ეყნოსა, აიღო თერმოსები და ბოგომოლოვთან ერთად ხოხვით გასწია მტრის მიერ გარშემორტყმული საცეცხლე წერტილებისაკენ.

სტვენით ცვივა ნამსხვრევები, ზუზუნებს ტყვიები, სასიამოვნო არ არის ცეცხლქვეშ ყოფნა, სახიფათოა ხოხვა, მაგრამ მაისაია წინ მიიწევს. ბოგომოლოვი თავში დაიჭრა და მაისაიამ ამხანაგი ზურგში გაგზავნა, თვითონ კი წინ გასწია. ქართველს გზა აებნა. გაუძნელდა ორიენტირება. იგი მიადგა სანგარს, სადაც მებრძოლებს უმცროსი ლეიტენანტი საიფუდინოვი მეთაურობდა. „შევსება მოვიდა!" — გაიხარა მან, ალმაცერად გადახედა თერმოსებს, რომლებსაც გემრიელი სუნი ასდიოდათ, ნერწყვი გადაყლაპა და უბრძანა: „არა გვცალია, დადგი საუზმე. ჩვენ ოთხნი ვართ, შენ მეხუთე იქნები. ისროლე!" „საით მიბრძანებთ ვესროლო?". „გარშემო — ყველგან გერმანელები არიან!". და მაისაიამ დაიწყო სროლა. იგი ესროდა მხოლოდ ხილულ მიზნებს. ეს პირველი ბრძოლა იყო. შენიშნავს მაისაია გერმანელს — ნელნელა, თითქოს ნადირობაზეაო, მიელტვის შაშხანის ლულას და მდოვრად მოსწევს სასხლეტს. ესვრის, მაგრამ კარგად ხედავს, რა გაბედულად და უნარიანად მოქმედებს მეთაური.

გერმანელი მეავტომატე მოეპარა სანგარს და ხელს უშლის ცეცხლის წარმოებას. მეავტომატეს სანგრიდან ვერაფერს დააკლებ, ტყვიას ვერ მიაწვდენ. მაშინ საიფუდინოვი სწრაფად ამოხტა ხანგრძლივი საცეცხლე წერტილიდან და ესროლა. ფრიცმა ხელებით მობღოტა მიწა და დადუმდა. „კარგი კაცია", ფიქრობს მაისაია თავის მეთაურზე და გერმანელ ოფიცერს ტყვიას გულში უმარჯვებს.

აფეთქება ნაღმი და მეთაური მიწაზე დაეცა. მაისაიამ მიაშურა დასახმარებლად, მაგრამ მეთაურმა თვალები გაახილა, მტერი ჩამოიბერტყა და გაკვირვებით მიმოიხედა. იგი დააყრუა აფეთქებამ, და არარაფერი ესმის. საიფუდინოვი ხედავს, როგორ ესვრის დინჯი ქართველი, მაგრამ სროლის ხმა არ ესმის. მეთაური პირს აღებს — უნდა გასცეს ბრძანება, მაგრამ თავისი ბრძანების სიტყვები არ ესმის. ვაზნები ელევათ. მაისაია მოახსენებს ამის შესახებ მეთაურს მაგრამ ის მხრებს იჩეჩავს. საიფუდინოვს ანიშნებენ — ვაზნები გამოგველია, რა ვქნათო? საიფუდინოვმა გაიღიმა და ხელებით ანიშნა — დაუმიზნე, მაგრამ ნუ ესვრი. ორჯერ შეამოწმე, მესამედ კი ესროლე.

როგორც კი გერმანელი თავს ამოჰყოფს, მაისაია დაუმიზნებს შაშხანას. მტერი ბორცვს მოეფარება, ისევ წამოდგება — მაისაია კვლავ დაუმიზნებს, მაგრამ არ ესვრის, უფრთხილდება ვაზნებს. ხოლო როდესაც ფრიცს გამბედაობა ემატება და იგი სიფრთხილეს ჰკარგავს, მაისაია მას მაშინ ტყვიით უმასპინძლდება.

მტერი უკუგდებულია. მებრძოლებს წესრიგში მოჰყავთ თავი. მაისაია კი თერმოსებთან ფაცურობს. იგი უკმაყოფილოდ იღრიჯება, ბურტყუნებს: „ყველაფერი გაციედა — ფაფაც და ბორშჩიც". საიფუდინოვი წარმატებას ულოცავს ქართველს: „თხუთმეტი დააწვინე, ჩემი თვალით ვნახე". მაისაიამ მეთაურს არაფერი უპასუხა, შუბლშეჭმუხნილი რაღაცას ანგარიშობდა, ბოლოს წარმოსთქვა: „ხუთ-ხუთი თითოზე. გერმანელებმა მეგობრები მომიკლეს, სიტყვა დავდე, რომ შურს ვიძიებდი".

მაისაიამ თერმოსები მხარზე გადაიკიდა და შაშხანაზე დაყრდნობით სანგრიდან ამოძვრა. იგი მიემართებოდა მეზობელი საცეცხლე წერტილებისაკენ, სადაც მოუთმენლად ელოდნენ სადილს.

„იზვესტია", 3/XII.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

დაზვერვაში

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტი, 3 დეკემბერი (საჯდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). გვარდიელი ვლადიმერ ბურდა სამ ამხანაგთან ერთად წავიდა ტყეში დასაზვერავად. აქ მათ შენიშნეს მორებით დატვირთული რკინიგზის პლატფორმა, რომელიც ვიწრო ლიანდაგით მოდიოდა. მორებზე იჯდა გერმანელი ოფიცერი, რომელსაც ფეხი ფეხზე გადაედო. მძიმე პლატფორმას ქანცგამოლეული, ძონძებში გახვეული რუსი ქალები და ბავშვები მოაგორებდნენ. ეს საცოდავები თორმეტნი იყვნენ. მათ უკან სამი ფაშისტი მეავტომატე მოაბიჯებდა.

თუმცა მზვერავებს ძალიან უნდოდათ ავტომატით სროლა, მაგრამ ეს არ შეიძლებოდა — მათ დავალება უნდა შეესრულებინათ. გვარდიელები გზატკეცილისაკენ გაემართნენ. წინ გერმანელთა სატვირთო მანქანა გამოჩნდა. შიგ 20-მდე ჰიტლერელი იჯდა. როცა მანქანა ბურდას დაუპირისპირდა, მან სწრაფად სტყორცნა მანქანაში გრანატი:

— ესეც თქვენ, საზიზღრებო, ჩვენი ქალებისა და ბავშვების წამებისათვის!

გამსკდარი გრანატისაგან შავი კვამლი ავარდა. შემდეგ მზვერავებმა ავტომატების სროლა ასტეხეს. ყველა ჰიტლერელი გაჟლეტილ იქნა.

უკან დაბრუნებისას გვარდიელებმა მტრის ახალი ძელმიწური საცეცხლე წერტილების აგების რაიონები დაზვერეს და ორი წერტი მოსპეს. რამდენიმე ადგილას მათ კავშირგაბმულობა მოშალეს.

ვ. მედვედევი

პარტიზანულმა რაზმმა გერმანელთა 17 თვითმფრინავი მოსპო

მოქმედი არმია, 3 დეკემბერი (საჯდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). სმოლენსკის ოლქის ერთ-ერთმა პარტიზანულმა რაზმმა გაბედული ოპერაცია ჩაატარა, გერმანელთა ზურგში ხელთ იგდო რკინიგზის სადგური და სერიოზული ზარალი მიაყენა მოწინააღმდეგეს.

დაზვერვის ცნობების მიხედვით, რაზმის მეთაურმა იცოდა, რომ ამ სადგურზე, რომელსაც გერმანელთა ძლიერი გარნიზონი იცავდა, ჩავიდა თვითმფრინავების, და ჯავშანსაწვევრების ეშელონები, სამხარი მასალებით დატვირთული ვაგონები, საწვავით სავსე ცისტერნები და სხვა სამხედრო ტვირთები.

ღამის წყვდიადში სახალხო შურისმგებლებმა უხმაუროდ მოხსნეს გუშაგები და თავს დაესხნენ სადგურს. სახლებისა და ყაზარმების ფანჯრებში გრანატების კონები შეჰყარეს. სადგომებიდან გამოქცეულ გერმანელებს პარტიზანებმა ავტომატისა და შაშხანის სროლა აუტეხეს.

ამავე დროს პარტიზანთა მეორე ჯგუფი, რომელმაც გერმანელები გარეკა სადგურიდან, შეუდგა ეშელონებისა და სამხედრო ობიექტების მოსპობას.

რამდენიმე საათს სადგური პარტიზანთა ხელში იყო და მხოლოდ მაშინ, როცა გერმანელებმა დიდი ძალები გამოიყვანეს მეზობელ სოფლებიდან, პარტიზანებმა ბრძოლით გადაინაცვლეს წინათ დასახული ზღუდისაკენ.

ამ თავდასხმის დროს მოსპობილ იქნა პლატფორმებზე მდგარი 17 თვითმფრინავი, ჯავშანსაწევრების ეშელონი, 2 ვაგონი სამარი მასალები, 2 ცისტერნი საწვავი, 13 ავტომანქანა. განადგურებულია ფეხსაცმლის, სურსათის და საზამთრო ტანსაცმლის საწყობები. მწყობრიდან გამოყვანილ იქნა აგრეთვე სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირგაბმულობის კვანძი. აფეთქებულია რკინიგზის ისრები და სემაფორები. გერმანელთა ზარალი მოკლულთა სახით 370 ჯარისკაცსა და ოფიცერს უდრის.

ღრმად შევისწავლოთ დიდი სტალინის ისტორიული მოხსენება და ბრძანება

აფხაზეთის მშრომელნი სწავლობენ ამხანაგ სტალინის მოხსენებას

სოხუმი („კომუნისტის" კორ.). აფხაზეთში გაცხოველებით სწავლობენ ხალხთა ბრძენი ბელადის დიდი სტალინის მოხსენებასა და 7 ნოემბრის ბრძანებას. აგიტატორები, წამკითხველ-მესაუბრეები ამ ისტორიულ დოკუმენტებს ღრმად და საფუძვლიანად აცნობენ ცალკე ბრიგადებში, რგოლებში და ა. შ.

ქალაქ სოხუმში მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელ წრეებში უკვე ჩაატარეს რამდენიმე მეცადინეობა. მთელ რიგ საწარმოებში (თამბაქოს ფაბრიკა, საკონსერვო ქარხანა, ტყავფეხსაცმლის კომბინატი და სხვ.) დამატებით შეიქმნა და მუშაობენ ახალი წრეები. სოხუმის რაიონის გულრიფშის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ყველა 13 ბრიგადაში აგიტატორები კოლმეურნეებს უკითხავენ ამხანაგ სტალინის მოხსენებას. ამ ისტორიულ დოკუმენტს ისინი კოლმეურნეებს განუმარტავენ ცალკე თავების მიხედვით. ეს საქმე მინდობილი აქვთ მოწინავე აგიტატორებს, რომელთა შორის ბევრია ადგილობრივი სკოლის მასწავლებელი. იმავე რაიონის ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში ბელადის მოხსენების ახსნა-განმარტებას ეწევიან აგიტატორები მ. სტოლიაროვი, ე. სლესარჩენკო და სხვ., სულ 12 აგიტატორი.

ბრძენი ბელადის მოხსენების ღრმად გაცნობა-შესწავლა ახალ საწარმოო აღმავლობას იწვევს საწარმოებსა და კოლმეურნეობებში.

გ. მერკვილაძე

მოხსენებები, ლექციები, საუბრები

ჭიათურა („კომუნისტის" კორ.). ქ. ჭიათურისა და ჭიათურის რაიონის საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში გულდასმით სწავლობენ ამხანაგ ი. ბ. სტალინის 6 ნოემბრის მოხსენებას და 7 ნოემბრის ბრძანებას.

სტალინისა და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროებში, აგრეთვე მარგანტრესტის მთავარ მექანიკურ სახელოსნოში და რკინიგზის კვანძზე აგიტატორები სპეციალური სემინარის გავლის შემდეგ ფართო მასებს აწავლიან ამხანაგ სტალინის ისტორიულ მოხსენებასა და ბრძანებას. რკინიგზის კვანძის მოწინავე აგიტატორი ამხ. ს. ბებუაშვილი აღნიშნულ მასალებს გულმოდგინედ აწავლის დიასახლისებს.

საწარმოებში, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში ტარდება სპეციალური მოხსენებები, ლექციები, საუბრები. ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენებისა და ბრძანების შესწავლას უკავშირებენ ყოველდღიური საბრძოლო ამოცანების შესრულებას. კერძოდ მაღაროელები და კოლმეურნეები იბრძვიან სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის.

პ. ჭიღაძე

საგიტაციო მუშაობა ახალი ძალით გაიშალა

ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის 6 ნოემბრის მოხსენების პასუხად 6 ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივი იბრძვის ახალ საწარმოო გამარჯვებათა მოპოვებისათვის.

აგიტატორებმა კ. კლანმა, დ. ჩხეიძემ, კ. ზარდალოვმა და სხვებმა ჩაატარეს საუბრები და თითოეულ მუშას გააცნეს დიდი სტალინის მოხსენებისა და ბრძანების შინაარსი. საუბრების დროს აგიტატორები მსმენელებს აცნობენ იმ ამოცანებს, რომლებიც დგას მთელი ჩვენი ქვეყნის წინაშე, საწარმოს წინაშე, თითოეული მუშის წინაშე, რათა ქარხანამ ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულოს აღებული ვალდებულებები.

საინსტრუმენტო საამქროს აგიტატორი—სტახანოველი კ. ზარდალოვი კარგად ათავსებს საგიტაციო მუშაობას საწარმოო გეგმების შესრულებასთან. მისი ყოველდღიური გამომუშავება შეადგენს 650-700 პროცენტს. ამავე საამქროს კომუნისტებმა დიდი ბელადის მოწოდების საპასუხოდ კიდევ უფრო აამაღლეს შრომის ნაყოფიერება. კომუნისტი შ. წამალაშვილი ყოველთვიურად ასრულებს 6 ნორმას, კომუნისტი მ. კანტერი—5 ნორმას, კომკავშირელი კ. ბაბაიანი—2-2,5 ნორმას და სხვ.

მექანიკური საამქროს აგიტატორი თ. ჯულაბიშვილი ყოველდღიურად ატარებს საუბრებს. იგი საუბრებს მჭიდროდ უკავშირებს საამქროს წინაშე მდგომ ამოცანებს, მოჰყავს მთელი რიგი კონკრეტული მაგალითები საამქროს კოლექტივის მუშაობიდან.

— მე ავიღე ვალდებულება მოვამზადო ორი ახალი მუშა,—აცხადებს მექანიკური საამქროს სტახანოველი მღარაძე მ. ბელოკონი.— დიდი სტალინის მოწოდების საპასუხოდ ვიღებ ვალდებულებას კიდევ უფრო გავადიდო შრომის ნაყოფიერება და დამატებით მოვამზადო ერთი ახალი მუშა.

ფოთის პარტაქტივის კრება

ფოთი („კომუნისტის" კორ.). ამ დღეებში ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) ფოთის ორგანიზაციის აქტივის საქალაქო კრება. კრებაზე მოხსენებით — პირველადი პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ მომჭირნეობის რეჟიმის დაცვის საქმეში—გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. გაბუნია.

კრებაზე აღინიშნა მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციების ენერგიული მუშაობა მომჭირნეობის რეჟიმის გატარების საქმეში, მაგრამ ამასთანავე ისიც ითქვა, რომ ზოგიერთი სამეურნეო და პარტიული ორგანიზაცია ჯერ კიდევ არასაკმაო ყურადღებას უთმობენ მომჭირნეობის რეჟიმის გატარებას. ქარხანაში, სადაც უფროსად არის ამხ. მაიოროვი, თითოეული დაზგის დატვირთვა 74,5 პროცენტს არ აღემატება. ამავე საწარმოში სათანადო სიმაღლეზე ვერა დგას საინსტრუმენტო მეურნეობა, რის გამო ინსტრუმენტები მალე გამოდის წყობილებიდან. მათი სწორი გამოყენებით კი საწარმოს შეუძლია 15 პროცენტით გაზარდოს პროდუქციის გამოშვება. ასეთივე მდგომარეობაა ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებსა და ზმ მშენებლობაზე, სადაც უფროსად არის ამხ. ბოშოვერო.

პარტაქტივის კრებაზე გაკრიტიკებულ იქნენ ელექტროქსელის, წყალსადენის სამმართველოსა და საქპურტრესტის ფოთის განყოფილების ხელმძღვანელები, რომლებიც არასაკმაოდ იბრძვიან მომჭირნეობის რეჟიმის გატარებისათვის. საქპურტრესტის ფოთის განყოფილების № 1 პურისსაცხობში ტყუილ-უბრალოდ დიდი რაოდენობით იღვრებოდა წყალი, № 5 საცხობში იმის გამო, რომ მაზუთის მიმწოდებელი აპარატი უწესივრო მდგომარეობაშია, ყოველდღიურად 20 კილოგრამი საწვავი იღვრება. ამ მდგომარეობის გამოსწორებისათვის ხელმძღვანელები ნაკლებად ზრუნავენ.

აქტივის კრებამ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი.

ვ. გუჯაბიძე

საქ. კ. პ. (ბ) ზემო-სვანეთის რაიკომის პლენუმი

ამ დღეებში შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ზემო-სვანეთის რაიკომის პლენუმი. პლენუმმა პირველ საკითხად განიხილა საქ. კ. პ. (ბ) ზემო-სვანეთის რაიკომის ბიუროს ანგარიში, მოხსენებით გამოვიდა რაიკომის მდივანი შ. ბოჯგუა.

ამხ. ბოჯგუას მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: წერეთელმა, ლ. შამფრინმა, ს. ფარჯიანმა, გ. ფელფანმა, ა. ნიჟარაძემ, პ. ჯაჯვანმა, ვ. ფელფანმა.

რაიკომის ბიუროს ანგარიშის გამო პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე საორგანიზაციო საკითხი.

სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით პლენუმმა ამხ. შ. ბოჯგუა გაათავისუფლა საქ. კ. პ. (ბ) ზემო-სვანეთის რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან.

პლენუმმა საქ. კ. პ. (ბ) ზემო-სვანეთის რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობის ასრულებლად ერთხმად აირჩია ამხ. ვ. ვეკუა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდა საქ. სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვ. მ. ბაქრაძე.

ჯ. ფილფანი

სტალინური კონსტიტუციის დღეს

შევხვდეთ ახალი საწარმოო გამარჯვებებით

მაუდელთა წარმატებანი

დიდი სტალინის ისტორიული მოხსენების პასუხად თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკამ ნოემბრის საწარმოო გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა და გეგმის გადამეტებით გამოუშვა რამდენიმე ათეული ათასი მანეთის პროდუქცია.

ფაბრიკაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ სამღებრო-საპრეტურო და კამვოლურ-სართავი საამქროები. მათ თვიური გეგმა შეასრულეს 100,7 პროცენტით. კარგი ხარისხის პროდუქცია გამოუშვეს და დიდი გადაჭარბებით შეასრულეს გეგმა კამვოლურ-სართავი საამქროს სტახანოველებმა კომუნისტმა ამხ. ა. ჩეუშიანმა (გეგმის 138,2 პროცენტი) და ნ. პოდკოვიროვამ (138,1 პროცენტი). სამღებრო-საპრეტურო საამქროს სტახანოველებმა ამხ. დ. სვანიშვილმა და შ. თაბუაშვილმა გმირ სტალინგრადელთა გამარჯვებების საპასუხოდ აღებული ვალდებულებანი პირნათლად გაანაღდეს და გეგმა 120-125 პროცენტით შეასრულეს.

გადაჭარბებით შეასრულეს გეგმა და მშობლიურ წითელ არმიას დამატებითი პროდუქცია მისცეს ფაბრიკის სტახანოველებმა მ. ინაურმა, მ. ჯანაშიამ, კ. სტრიგოცკაიამ, ო. შაბუნინამ, რ. შპაჩენკოვმა, ე. ტარტინსკაიამ და სხვ.

კარგი მაჩვენებლები აქვს ფაბრიკას სათბობისა და ნედლეულის ეკონომიის დარგში. მიმდინარე წლის ათი თვის განმავლობაში ფაბრიკის კოლექტივმა დაზოგა 24,7 ტონა ნედლეული, დამხმარე ნედლეული დაზოგა 30,4 პროცენტით და ელექტროენერგია 12,2 პროცენტით, რაც ფულად გამოხატულებაში 845.000 მანეთს უდრის. გარდა ამისა, პროდუქციის თვითღირებულება ათი თვის განმავლობაში ფაბრიკაში შემცირდა 2,8 პროცენტით, რამაც ფაბრიკას მისცა 830.000 მანეთის ეკონომია.

გეგმის გადაჭარბებით შესრულება და 1.675.000 მანეთის ეკონომია—აი რით ხვდება თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კოლექტივი დიადი სტალინური კონსტიტუციის დღეს—5 დეკემბერს.

რაციონალიზატორულ წინადადებათა განხორციელებით ახალ წარმატებებს აღწევენ

წითელი არმიის წარმატებითი შეტევით აღფრთოვანებულმა 6 ქარხნის კოლექტივმა 30 ნოემბრისათვის თვიური გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა და ახალი საწარმოო მიღწევებით ეგებება სსრ კავშირის სტალინური კონსტიტუციის დღეს—5 დეკემბერს.

გეგმის შესრულებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ახალი ტექნოლოგიური პროცესებისა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვამ, აგრეთვე მატერიალური რესურსების გეგმაშეწონილად გამოყენებამ. ასე, მაგალითად, ერთი სპეციალური დაკვეთის შესასრულებლად საჭირო იყო განსაკუთრებული ზომისა და კონსტრუქციის მილები, რომლებიც ქარხანას არ მოეპოვებოდა და არც მიღების პერსპექტივა სჩანდა. ზოგიერთი ტექნოლოგიური პროცესის მოფიქრებულად გამოყენების შემდეგ ეს მილები ნავთის საბურღავი მილებით შესცვალეს. სპეციალური დაკვეთა დროზე იქნა შესრულებული.

რამდენიმე ხნის წინათ ქარხანამ მიიღო ლითონის ზოდების დიდი პარტია. გარანდვის დროს ნათალი რომ არ დარჩენილიყო, ზოდებს ახურებდნენ და საჭირო ზომამდე დაჭყლედათ, ამით მნიშვნელოვნად დაზოგეს ძვირფასი ლითონი.

დიდი ბელადის—ამხანაგ სტალინის 6 ნოემბრის ისტორიული მოხსენების პასუხად ქარხანაში ფართოდ გაიშალა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მოძრაობა. ნოემბერში შემოსული და დანერგილია რამდენიმე ძვირფასი წინადადება. სულ 1942 წლის განმავლობაში რეალიზებულია 80 რაციონალიზატორული წინადადება, რამაც საწარმოს 213 ათასი მანეთის ეკონომია მისცა.

საინსტრუმენტო და სპეციალური საამქროების უფროსების ამხ. დ. გოგოლაძისა და კ. პეტრენკოს წინადადებით სალრუეს დასამზადებლად გამოიყენეს ძველი ბურღები. ამით საინსტრუმენტო საამქრო გაათავისუფლეს სალრუეთა დამზადებისაგან, უზრუნველჰყვეს სპეცსაამქროს შეუფერხებელი მუშაობა და მარტო მეოთხე კვარტალში მოგვცეს 25.590 მანეთის ეკონომია. კომუნისტ გ. ქურდაძის წინადადებამ მნიშვნელოვნად შეამცირა დაზგების გაცდენა და რემონტი და მეოთხე კვარტალში მოგვცა 7.500 მანეთის ეკონომია.

სტალინური კონსტიტუციის დღეს—5 დეკემბერს ქარხანა ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდება.

გეგმის გადამეტებით 200 ათასი მანეთის პროდუქცია

თბილისის უნაგირის ფაბრიკის მუშაკები ახალი საწარმოო აღმავლობით აღნიშნავენ წითელი არმიის წარმატებით შეტევას სტალინგრადის რაიონში და ცენტრალურ ფრონტზე.

ფაბრიკის სტახანოველმა გამომჭრელმა ამხ. შმარცმა უკანასკნელ დღეებში გეგმის შესრულება 28-30 პროცენტით გაზარდა. იგი ამჟამად ერთი ოპერაციის შესრულებას ნაცვლად 11 საათისა 8 საათს ანდომებს. კომკავშირელი მკერავები ამხ. ბიტნაში და ბიტიზმალოვი სტალინური კონსტიტუციის დღის აღსანიშნავად გეგმებს 300-320 პროცენტით ასრულებენ. სტახანოველმა ამხ. გიორგობიანმა ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესებით მიაღწია ძირითადი ნედლეულის 10 პროცენტით ეკონომიას.

ყოფილი დიასახლისები ამხ. ლუდუშვილი, კუდახტინა და შელკანოვა, რომლებიც ფაბრიკაში მხოლოდ ომის დღეებში მოვიდნენ, ორასოვანი სტახანოველები გახდნენ და წითელი არმიის მორიგი გამარჯვებების საპასუხოდ ნორმების გამომუშავება 50 პროცენტით გაზარდეს.

უნაგირის ფაბრიკამ, რომელმაც წლიური გეგმა ჯერ კიდევ ოქტომბერში შეასრულა, 30 ნოემბრისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვა 200 ათასი მანეთის პროდუქცია.

გეგმების შესრულება

მაიაკოვსკის რაიონმა შეასრულა ყურძნის დამზადების წლიური გეგმა. ნაცვლად 2.720 ტონისა დამზადებულია 2.733 ტონა ყურძენი.

საქ. კ. პ. (ბ) მაიაკოვსკის რაიკომის მდივანი **კაპანაძე**

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **მანანია**

* * *

სამტრესტის ღვინის მეორე ქარხანამ პროდუქციის გამოშვების ნოემბრის გეგმა ნატურით 164 პროცენტით, ხოლო უცვლელ ფასებში 201 პროცენტით შეასრულა.

1 დეკემბრისათვის წლიური გეგმა უცვლელ ფასებში შესრულებულია გადაჭარბებით. ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება აიღო წლიური გეგმა ნატურით 15 დეკემბრამდე შეასრულოს.

ქარხნის დირექტორი **შ. პირველი**

ლექციები და მოხსენებები

5 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, მოლოტოვის რაიონის რაიაგიტპუნქტში (პლეხანოვის პროსპექტი № 83) შესდგება ამხ. ფრიშენბერგის ლექცია რუსულ ენაზე. თემა: „სსრ კავშირის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების საბრძოლო კავშირი ჰიტლერული გერმანიისა და ევროპაში მისი თანამონაწილეების წინააღმდეგ".

ბილეთების მიღება შეიძლება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. მოლოტოვის რაიკომის რაიაგიტპუნქტში.

კინოებში

რუსთაველის სახ. — „გიორგი სააკაძე". ოქტომბერი — „ბაბუკი ჩვენი ქალაქიდან". დამკვრელი — „ხიდი". კომკავშირელი — „მეზღვაურის ქალიშვილი". სპარტაკი — „კინოკონცერტი". კომინტერნი — „კორზინკინას თავგადასავალი" და „საქართველოს XI-XII საუკუნეების ძეგლები".

თეატრებში

5 დეკემბერს: საოპერო — „ჰოფმანის ზღაპრები". რუსთაველის სახელობის — „ოლეკო დუნდიჩი". მარჯანიშვილის სახელობის — „მეფე ერეკლე". გრიბოედოვის სახელობის — „რუსი ადამიანები". სომხური თეატრი — „ინჟინერი სერგეევი". ახუნდოვის სახელობის — „უნზულა". მუსიკალური კომედიის — „სილვა". სახკულტურის — „გაგრძელება იქნება". მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი — „რომეო და ჯულიეტა". მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი — „შინაურები ვართ, მოვრიგდებით". მოზარდ მაყურებელთა სომხური თეატრი — „ცოცხალთა დღე". რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზი — თეატრალიზებული ჯაზი დ. ვორონინის ხელმძღვანელობით. სახკონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზი — შავი ზღვის ფლოტის ჯაზი ა. აბელიოვის ხელმძღვანელობით.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე **გ. ჯიბლაძე**

საომარი მოქმედება ჩრდილოეთ აფრიკაში

ლონდონი, 3 დეკემბერი (საჯდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ამერიკისა და ინგლისის ჯარებმა მოიგერიეს გერმანელთა კონტრიერიში ტებურბის ჩრდილოეთით. ეს კონტრიერიში, ყველაზე ძლიერი იყო ტუნისში, წარმოებული მთელი ბრძოლის განმავლობაში. მტერს მძიმე ზარალი მოუვიდა.

ქალაქ ტუნისსა და ბიზერტას შორის ღრმა სოლია შეჭრილი. მტერი ცდილობს ცალ-ცალკე დაიცვას ორივე ქალაქი. დაბომბილ იქნა მოწინააღმდეგის ძირითადი თავდაცვითი ხაზები. დანგრეულია ბევრი ტანკი. ამის შემდეგ დაიწყო ნაღმიანი მინდვრების მოსპობა.

ინგლისის მუხუქმა საზღვაო ძალებმა იერიში მიიტანეს მტრის ტრანსპორტზე, რომელიც ტუნისისაკენ მიემართებოდა. ჩაძირულია 4 სავაჭრო გემი და 2 სესკადრო ნაღმოსანი.

იქმნება საფრანგეთის სამასიათასიანი არმია

ნიუ-იორკი, 3 დეკემბერი (საჯდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო იტყობინება, რომ განზრახულია დაუყონებლივ შეიქმნას საფრანგეთის არმია, რომელიც 300 ათასი კაცისაგან იქნება შემდგარი და მოკავშირეებთან ითანამშრომლებს ჩრდილოეთ აფრიკაში.

მოლაპარაკება დაკარით სარგებლობის შესახებ

ლონდონი, 3 დეკემბერი (საჯდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, იდენმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ საფრანგეთისა და ამერიკის ხელისუფლები ამჟამად დაკარით სარგებლობის საკითხს იხილავენ.

ინგლისის ავიაციის თავდასხმა ფრანკფურტზე

ლონდონი, 3 დეკემბერი (საჯდესი). ავიაციის სამინისტროს ცნობით, ინგლისის ბომბდამშენება 2 დეკემბრის ღამით თავს დაესხნენ გერმანიის, სხვადასხვა პუნქტს, მათ შორის მაინის ფრანკფურტს.

გუშინ ავიაგამანადგურებლებმა იერიში მიიტანეს რკინიგზის ობიექტებზე, ჯარებზე და მტრის საცეცხლე წერტილებზე საფრანგეთში და ჰოლანდიაში.

მტრის თვითმფრინავებმა სცადეს თავს დასხმოდნენ ინგლისს. ლონდონში ხანმოკლე საჰაერო განგაში გამოცხადდა.

ტურინზე ინგლისის ავიაციის თავდასხმის შედეგები

ლონდონი, 3 დეკემბერი (საჯდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 22 ოქტომბრიდან ექვსჯერ მოხდა თავდასხმა გენუაზე, ოთხჯერ ტურინზე და ორჯერ მილანზე. ამ ქალაქებში ჩამოყრილია 15.000 ტონაზე მეტი ბომბი. იტალიის სამხედრო-სამრეწველო ცენტრები სერიოზულად დაზიანდა. კერძოდ, ტურინის აეროფოტოგადაღებამ ცხადჰყო, რომ დანგრეულია ქალაქის მრავალი დიდი რაიონი. განსაკუთრებით დაზიანებულია „ფიატის" ფირმის ქარხნები, სამხედრო მასალების დამამზადებელი საწარმოები, ნავსადგურები და სხვა სამხედრო ობიექტები.

კანადის ფარგლებს გარეთ იქმნება კანადის ცალკეული ავიანაწილები

ოტავა, 3 დეკემბერი (საჯდესი). კანადის ავიაციის მინისტრმა პაუერმა განაცხადა, რომ მთავრობა მიზნად ისახავს, შექმნას კანადის ფარგლებს გარეთ კანადის სამხედრო-საჰაერო ძალთა ცალკეული ნაწილები.

კანადის ბომბდამშენთა ჯგუფი ინგლისში 10-20 ესკადრილიის შემადგენლობით მალე შეივსება კანადის ავიაგამანადგურებელთა ჯგუფით. როგორც მოელიან, ინგლისში იმოქმედებს კანადის 40-მდე ესკადრილია, რომლებიც ინგლისის საჰაერო ძალებთან ითანამშრომლებენ.

ჰიტლერელთა ყაჩაღობა ბალტიისპირეთში

სტოკჰოლმი, 3 დეკემბერი (საჯდესი). ჰიტლერული გაზეთი „დოიჩე ცაიტუნგ ინ ოსტლანდი" სავსეა ჩივილით იმის შესახებ, რომ ლატვიაში საბოტაჟი ძლიერდება. „ხელისუფალნი,—სწერს გაზეთი, — ყოველდღე იღებენ საწარმოთაგან უიძალ განცხადებას იმის შესახებ, რომ მუშა-მოსამსახურეთა დიდი ნაწილი სამუშაოზე არ ცხადდება. მათ შორის ბევრია ისეთი პირი, რომლებიც სისტემატურად არიდებენ თავს მუშაობას, თუმცა მათ დაურნდობლად ეკიდებიან და იძულებით სამუშაოების კარხპლმის ბანაკში გზავნიან".

გაზეთი „ვილნერ ცაიტუნგი" შეშფოთებით სწერს, რომ ლიტველი გლეხების მიერ საოკუპაციო ხელისუფლებისათვის ჩასაბარებელი პროდუქტების გადამალვა და „ამ პროდუქტებით უკანონო ვაჭრობის ეპიდემია მთელ ლიტვაში გავრცელდა". გაზეთი აცხადებს, რომ გლეხები, რომლებიც არ ასრულებენ ბრძანებებს პროდუქტების ჩაბარების შესახებ, „სიკვდილის ღირსნი არიან. მათთვის სასჯელი უზომოდ სასტიკი იქნება".

ბალტიისპირეთის ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში, რომლებიც ოკუპირებულია გერმანელების მიერ, ქალაქებში სწარმოებს მოსახლეობის უტიფრად ძარცვა. ამას წინათ გაზეთმა „დოიჩე ცაიტუნგ ინ ოსტლანდმა" გამოაქვეყნა გერმანელ ხელისუფალთა განკარგულება, რომლის თანახმადაც რეგისტრაცია უნდა უყონ „არაკეთილსაიმედო და მტრული ელემენტების" მთელ პირად ქონებას.

ანტიგერმანული დემონსტრაციები ტულონში

ნიუ-იორკი, 3 დეკემბერი (საჯდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ტულონის მუშებმა ანტიგერმანული დემონსტრაციები განაახლეს.

საომარი მოქმედება ლიბიაში

ლონდონი, 3 დეკემბერი (საჯდესი). როგორც პრესა იუწყება, ინგლისის ძალები ლიბიაში ამჟამად იმისათვის ემზადებიან, რომ კიდევ უფრო ფართო მასშტაბით განაახლონ შეტევითი ოპერაციები. ინგლისის ჯარების მოწინავე ნაწილები ელ-აგეილის აღმოსავლეთ სიმაგრეებს მიადგნენ. უკვე დაიწყო გერმანელთა თავდაცვის ხაზისათვის არტილერიის დაშენა. მტრის არტილერიაც ამოქმედდა.

ავიაციამ რამდენჯერმე მოახდინა ინტენსიური თავდასხმა მოწინააღმდეგის ნავსადგურებსა და სამხედრო ობიექტებზე.

რუმინეთის ზურგი მტკიცე არ არის

სტამბოლი, 3 დეკემბერი (საჯდესი). უკანასკნელ თვეებში რუმინეთის ეკონომიური სიძნელეები კიდევ უფრო მეტად გაიზარდა. რუმინეთის პრესა არა მალავს, კერძოდ, შეშფოთებას, რომელიც ტრანსპორტზე შექმნილმა მდგომარეობამ გამოიწვია. ერთი გაზეთის სიტყვით, ტვირთის გადაზიდვა ბევრად უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე თვითონ ტვირთი ღირს. რუმინეთის რკინიგზების სავაგონო და სალოკომოტივო პარკი მეტისმეტად ცუდ მდგომარეობაშია. ნგრევის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია კვალიფიციური კადრების მწვავე ნაკლებობა, ვინაიდან რკინიგზელთა უმეტესობა ფრონტზეა გაგზავნილი.

იმ სიძნელეებს, რომლებსაც რუმინეთის ტრანსპორტი და აგრეთვე მთელი მრეწველობა განიცდის, ამწვავებს სათბობის ნაკლებობა, რაც სულ უფრო და უფრო იზრდება.

რუმინეთის სასურსათო მდგომარეობა დღითიდღე უარესდება, რადგან სურსათ-სანოვაგე გერმანიაში გააქვთ და სოფლის მეურნეობა დაეცა. მოსახლეობას მხოლოდ წამხდარი პროდუქტები ეძლევა. სიმინდის გაცემის ნორმები კვლავ შემცირებული იქნება. პურს ისეთი ფქვილისაგან აცხობენ, რომელშიც დიდი რაოდენობით ურევია სხვადასხვა სუროგატი.

ეკონომიური სიძნელეების გამწვავებასთან ერთად რუმინეთში იზრდება უკმაყოფილება და ძლიერდება წინააღმდეგობა ხელისუფალთა ღონისძიებების მიმართ. „ხალხი ყურადღებს არ იღებს მთავრობის მოწოდებას",—ჩივის გაზეთი „ტიმპული". რუმინეთის ხელისუფალთ ვერ დაუძლევიათ გლეხობის წინააღმდეგობა, რომელსაც არა სურს ჩააბაროს მარცვლეული და სიმინდი.

გაზეთი „კურენტული" სწერს, რომ „ბოროტმოქმედი პირნი ცდილობენ პანიკა შექმნან და ავრცელებენ ხმებს" და რომ „ყოველ ნაბიჯზე გაისმის ღრტვინვა და უკმაყოფილება".

სტოკჰოლმში მარცხი განიცადა გერმანულმა საპროპაგანდო ფილმმა

სტოკჰოლმი, 3 დეკემბერი (საჯდესი). სტოკჰოლმის მოსახლეობა ბოიკოტს უცხადებს ჰიტლერულ საპროპაგანდო ფილმს ფრიდრიხ II-ის შესახებ, რის ჩვენებაც გერმანელებმა ამას წინათ დაიწყეს შვეციის დედაქალაქში. მყვირალა რეკლამის მიუხედავად ამ ფილმის ჩვენებას სავსებით ჩაშალა. შვეციის საზოგადოებრიობა ფაშისტთა ნათითხნს აშკარად მტრულად მოეპყრო. გაზეთი „დაგენს ნიუჰეტერი" რეცენზიაში სწერს: „მთელი ფილმი, რომლის დემონსტრაციაც ორ საათს გრძელდება, ისეა გატენილი გერმანული პროპაგანდით, რომ შვედი მაყურებლისათვის მისი ყურება ძნელია". გაზეთი „სვენსკა დაგბლადეტი" სწერს: „ამ ფილმში ისტორია ფალსიფიცირებულია დღევანდელი დღის გერმანული პროპაგანდის ამოცანების შესაბამისად. უხეშად საზოგადოებაზე ყოველივე ეს მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს". გაზეთი „არბეტარენი" ირონიულად შენიშნავს, რომ გერმანელთა „უძლეველობის" პროპაგანდა, რითაც გამსჭვალულია მთელი ფილმი, სტალინგრადის რაიონის და აფრიკის ამბების ფონზე „აშკარად მოძველებულია".

სულიერი განწყობილების დაცემა იტალიაში

სტოკჰოლმი, 3 დეკემბერი (საჯდესი). როგორც გაზეთ „დაგენს ნიუჰეტერის" რომაელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, იტალიელებს სასოწარკვეთილებამდე აცვდებს იმის შეგნება, რომ მომავალ ზამთარს ომის სიმძიმის ცენტრი იტალიაში იქნება გადატანილი. ეს განწყობილება განსაკუთრებით იმის შემდეგ გაძლიერდა, რაც ჩერჩილმა განაცხადა, რომ მზადდება საჰაერო შეტევა იტალიის წინააღმდეგ.

ა. შ. შტატების ინტერესი სსრ კავშირის კულტურისა და ბრძოლისადმი

ნიუ-იორკი, 2 დეკემბერი (საჯდესი). ამერიკული საზოგადოებრიობის ფართო ფენები დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა კავშირისადმი.

ერთ-ერთ პოპულარულ სიმღერას, რომელსაც ხშირად გადასცემენ ხოლმე რადიოთი, ჰქვიან: „ჩემი ძმა სტალინგრადში ცხოვრობს". საერთოამერიკულ და ადგილობრივ რადიოგადაცემაში ჩაურთავენ ხოლმე მოთხრობებს საბჭოთა ცხოვრებისა და საბჭოთა პარტიზანების გმირული ბრძოლის შესახებ. უჩვენებენ საბჭოთა ფილმებს, კერძოდ „გერმანელთა ჯარების განადგურებას მოსკოვთან", „მოკლემეტრაჟიან ფილმებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის ბრძოლას ასახავენ. მოკლემეტრაჟიან ქრონიკალურ კინოსურათებს შორის არის ფილმი, რომელიც გულთბილად ასახავს ამხანაგ სტალინს. ამ ფილმს მაყურებელნი აღფრთოვანებით შეხვდნენ.

შოსტაკოვიჩის მეშვიდე სიმფონიას გადასცემენ ხოლმე რადიოთი და ასრულებენ კონცერტებზე ა. შ. შტატების ყველა უდიდეს ქალაქში. სულ უფრო ხშირად ეწყობა კონცერტები საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებთაგან.

საბჭოთა სტუდენტების—ვაშინგტონში შემდგარ სტუდენტთა საერთაშორისო ყრილობის დელეგატების ყოფნამ ა. შ. შტატებში ფართო ინტერესი გააღვიძა სსრ კავშირის ქალთა და ახალგაზრდობის ცხოვრებისადმი. ჟურნალმა „ლიბერტიმ" გამოაქვეყნა ლუდმილა პავლიჩენკოს ილუსტრირებული სტატია და ამ სტატიას სათაურად მისცა: „ქალი-მეომარი".

კვირას, 6 დეკემბერს, სახკონსერვატორიის დარბაზში შესდგება

მუსიკალური ათწლედის მოსწავლეთა

მეორე აკადემიური კონცერტი

დასაწყისი დღის სრულ 11 საათზე

მიღების პირობები საქ. სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის თბილისის სამკერვალო საფაბრიკო საქარხნო სწავლების სკოლაში 1942-43 სასწავლო წლისათვის.

სწავლა 6-თვიანია.

სკოლა ამზადებს ჭრა-კერვის კვალიფიციურ სპეციალისტებს, რომლებიც სკოლის დამთავრების შემდეგ იგზავნებიან თბილისის სამკერვალო ფაბრიკებში სამუშაოდ. სკოლაში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი განათლებით არანაკლებ არასრული საშუალო სკოლის 2 კლასის მოცულობისა.

სკოლაში მიიღებიან ახალგაზრდები 14 წლიდან. სწავლის პერიოდში მსმენელები ღებულობენ სტიპენდიას 70-დან 140 მანეთამდე და სარგებლობენ სკოლასთან არსებული შეღავათიანი ბუფეტით.

მიღებულნი დაკმაყოფილებული იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

შემსვლელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: განცხადება, მეტრიკული ამონაწერი, ჯანმრთელობის მოწმობა, ორი ფოტოსურათი, მოკლე ავტობიოგრაფია და პასპორტი.

განცხადებების მიღება სწარმოებს.

მისამართი: თბილისი, კალინინის ქ. № 60, ტელ. № 3—26—66.

307 **სკოლის დირექცია**

მცხეთის რაიკავშირის თანამშრომლები იუწყებიან რაიკავშირის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ირაკლი შარაშენიძის შვილის

ლუკა (კუკუშა) ირაკლის-ძე შარაშენიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5/XII, 7 ს. გამოსვენება 6/XII, 2 ს. ანტონოვის ქ. № 26.

თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორ-პედაგოგები იუწყებიან დოცენტ ვახტანგ ნოშრევანის-ძე ჯაფარიძის ცოლისდის

ნინო სპირიდონის-ასულ მთვარელიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება 4/XII, 4 ს. ქალაქის მეორე საავადმყოფოს პროზექტურიდან (კამოს ქ.). 1570

თბილისის წყალსადენის საჭაჩავი სადგურების სამმართველო იუწყება, რომ 6/XII, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია ლუარსაბ ისიდორეს-ძე მაჭარაშვილის შვილის

გივი ლუარსაბის-ძე მაჭარაშვილის

სამოქ. პანაშვიდი. 1573

სისხლის გადასხმის სადგურის თანამშრომლები იუწყებიან ექიმ

ნინო ალექსანდრეს-ასულ ქვრივიშვილის

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი 4 და 5/XII, 6 ს. გარდისუბნის ქ. № 15. დაკრძალვა 6/XII, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან ბესარიონ დანგაძის შვილის

როდერის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 5/XII, 4 ს. კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება ლვინის რიგის ქ. № 4. 1574

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის თანამშრომელთა კოლექტივი იუწყება, რომ 6/XII, 2 ს. ვერის ძველ სასაფლაოზე შესდგება

ვახტანგ დავითის-ძე აბულაძის

სამოქ. პანაშვიდი. 1572

სტატისტიკური სამმართველოს კოლექტივი იუწყება ნათელა დათუნაშვილის მამის

იონა ნიკოლოზის-ძე ავალიანის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 5/XII, 6 ს. ტარიელის ქ. № 6. დაკრძალვა 6/XII, 2 ს. ვერის ძველ სასაფლაოზე. 1571

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 11080